სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-01/99

ქ. თბილისი 4 აგვისტო 2022 წ.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 34-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის და 29-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების შესაბამისად, სწავლების დეპარტამენტის უფროსის, თამარ წერეთლის 2022 წლის ----აგვისტოს სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 04 აგვისტოს სხდომის ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. წარედგინოს რექტორს წინადადება 2022/2023 სასწავლო წლიდან 4 წლის ვადით დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დასაკავებლად 2022 წლის 05 აგვისტოდან ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე.
2. დამტკიცდეს დასაკავებელი აკადემიური თანამდებობების ჩამონათვალი დანართი 1-ის შესაბამისად.
3. დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი განცხადება, საკონკურსო პირობები და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 2-ის შესაბამისად.

4. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველი პირის განაცხადის და ანკეტის ფორმები და აკადემიურ პერსონალთან დასადები ხელშეკრულების ფორმა (დანართი, 3, დანართი 4, დანართი 5).
5. საკონკურსო განცხადებების მიღება დაიწყოს 2022 წლის 05 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით.
6. 65 წლისა და მეტი ასაკის მქონე პირის მიერ აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის თაობაზე აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების მისაღებად განცხადებების შეტანის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 03 სექტემბრის ჩათვლით.
7. კონკურსი ჩატარდეს 2022 წლის 14 სექტემბრიდან 16 სექტემბრის ჩათვლით. საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირველადი შედეგები გამოქვეყნდეს არაუგვიანეს 2022 წლის 17 სექტემბრისა, შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.gtu.ge.
8. კონკურსთან დაკავშირებით განცხადებები/საჩივრები საკონკურსო კომისიაში მიიღება 2022 წლის 19 სექტემბრიდან 21 სექტემბრის ჩათვლით.
9. აკადემიურ საბჭოში კონკურსის შედეგების დამტკიცების ვადა განისაზღვროს 2022 წლის 26 სექტემბერს.
10. აკადემიურ საბჭოს მიერ დამტკიცებული კონკურსის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე https://gtu.ge/ არა უგვიანეს 2022 წლის 27 სექტემბრისა.
11. კონკურსში გამარჯვებულ პირებთან აფილირებისა და შრომითი ხელშეკრულებები დაიდოს 2022-2023 სასწავლო წლიდან.
12. კონკურსი ჩატარდეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდებისა და „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ” დებულების შესაბამისად,
13. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტში ყველასთვის თვალსაჩინო ადგილებზე, მისი საჯაროობისა და დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
14. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე — დ. გურგენიძე

აკადემიური საბჭოს მდივანი — ი. კუტუბიძე